„ვამტკიცებ“
შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორი, ლ. ტვილდიანი

ბრძანება № _____წელი

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები

თბილისი 2021

კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი ეფუძვნება:

(i)კვლევითი პროექტის (კვლევის დაგეგმვის ფაზა) ექსპერტული შეფასების შედეგებს:

- ✓ კვლევითი პროექტის (განაცხადი) შემოტანის შემდეგ კვლევის პროექტი იგზავნება ექსპერტებთან შეფასების მიზნით, რომელიც აფასებს:
  - დაგეგმილი კვლევის აქტუალობასა და/ან სიახლეს
  - კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადექვატურობას
  - კვლევის მოსალოდნელი შედეგების თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას
- ✓ ექსპერტთა დადებით შეფასების შემდგომ ხდება მისი აკადემიურ საბჭოზე წარდგენა, რომელიც აფასებს:
  - პრობლემის აქტუალობას
  - კვლევის მიზნებს და ამოცანებს
  - კვლევის მეთოდების ადექვატურობას
  - ეთიკურ ასპექტებს
  - კვლევის თეორიულ და/ან პრაქტიკულ ღირებულებას
- ✓ კვლევის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში (პრობლემის არსებობის და/ან სხვა საჭიროების განსაზღვრის მიზნით). კვლევის პროგრესს მონიტორინგს უწევს სადოქტორო კომიტეტი და/ან აკადემიურ საბჭოზე, სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტი (საკითხვის განხილვა შესაბამისად ოქმდება).

(ii)კვლევით მიღებული სამეცნიერო შედეგების გამოქვეყნებისთანავე მიზანშეწონილობის შეფასებას:

- ✓ დასაბეჭდად მისაღებად ხდება peer-review შეფასება; ხარისხის შეფასებისთვის მიღებული მტკიცებულებაა რეფერირებად ჟურნალებსა და PubMed-ში გამავალი სხვადასხვა იმპაქტ ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნება.

(iii)კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისთვის რეკომენდაციის და/ან დანერგვის არსებობის შეფასებას:

- ✓ კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების რეკომენდაციათა არსებობა, კვლევის შედეგების დანერგვა; ხარისხის შეფასებისთვის მიღებული მტკიცებულებაა ასეთის (რეკომენდაცია, დანერგვა) არსებობა.

(iv)კვლევით და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების სხვა მექანიზმებია:

- ✓ აკადემიური პერსონალის და დოქტორანტთა კვლევების გარე (დონორიორგანიზაციების საგრანტო კონკურსით მიღებული) შეფასება

- ✓ ასევე, სამეცნიერო მუშაობის სახეობები, მოცულობა, კონტროლის ღონისძიებები, რომელსაც ითვალისწინებს დტსუ პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტის თავი III (იხ. დანართი№56)

შეფასების შედეგები:

ბოლო 5 წლის განმავლობაში დტსუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ანალიზი აჩვენებს გარკვეულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; კერძოდ ბოლო 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში მოღვაწე 78-მა პედაგოგმა გამოაქვეყნა PubMed-ში ინდექსირებულ ჟურნალებში 120 სტატია, მათ შორის 56 იმპაქტ-ფაქტორიან (ყველაზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორი 45) ჟურნალში; 79 შრომა გამოქვეყნდა ადგილობრივ ჟურნალებში; ასევა უნივერსიტეტის პროფესურა მოხსენებით წარდგა 200-ზე მეტ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაზე.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით დაცულია 17 დისერტაცია დტსუ-ში, ასევე მათი თანახელმძღვანელობით, ყარაგანდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, მომზადებულია (ყარაგანდის უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების 5 დოქტორანტი) და დაცულია 5 დისერტაცია.